ფასი 30 კაპ.

ს ს ს რ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრებული

№ 6 30 მ ა რ ტ ი 1938 წ.

F 1947

## შინაარსი

1. **ბრძანება** № 1160. დაწყებით, ა/ს საშუალო, საშუალო და მოზრდილთა სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები ეგზამენების ჩატარების შესახებ . . . . 2

2. **ბრძანება** № 1161. 1937-38 სასწავ. წლის დასრულებისა და 1938-9 სასწავ. წლის დაწყების შესახებ . . . . . 2

3. **ინსტრუქცია** დაწყებით, ა/ს საშ. საშუალო და მოზრდილთა სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ . . . . . 4

4. **ინსტრუქცია** 1938-39 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ . . . . . 10

5. **ბრძანება** № 572. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოების გაერთიანების შესახებ . . . . . 16

გ ა ნ ს ა ხ ლ ო ბ ე ლ ი

თ ბ ი ლ ი ს ი 1938

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 1160

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1938 წლის 7 მარტი

### დაწყებით, ა/ს საშუალო, საშუალო და მოზრდილთა სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ

1). დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია დაწყებით, არასრულ საშუალო, საშუალო და მოზრდილთა სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ.

2) ავტონომიურ რესპუბლიკების განსახკომებმა და საოლქო, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებმა პირადად და ინსტრუქციების მეშვეობით, სისტემატური დახმარება გაუწიონ სკოლებს გამოცდების ჩატარებაში, მოაწყონ მასწავლებელთათვის რაიონის განათლების განყოფილებებში, პედაგოგიურ კაბინეტებსა და საუკეთესო სკოლებში მეთოდისტებისა და გამოცდილ მასწავლებელთა კონსულტაცია და სკოლებზე მიმაგრება გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე (ინსტრუქტირება, საგამოცდო ცხრილის შედგენა და სხვ.).

3) დაევალოს ავტონომიურ რესპუბლიკათა განსახკომებს, საოლქო, საქალაქო და რაიონების განათლების განყოფილებებს დაამუშაონ ინსტრუქცია სკოლის დირექტორებსა (გამგეებსა) და სასწავლო ნაწილის გამგეებს შორის, ხოლო სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) მასწავლებლებსა, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შორის.

4) დაწყ. და საშ. სკოლის მთავარსამმართველომ და მოზრდილთა სკოლის სამმართველომ დაგზავნონ ინსტრუქციები გამოცდების ჩატარებაში რაიონებისათვის დახმარების გასაწევად.

**განათლების სახალხო კომისარი**
**ე. ბურჯულაძე**

---

# ბრძანება № 1161

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1938 წ. 7 მარტი

### 1937—38 სასწავლო წლის დასრულებისა და 1938—39 სასწავლო წლის დაწყების შესახებ.

1). დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების 1, 2 და 3 კლასებში სასწავლო მეცადინეობა დასრულდეს 29 მაისს. 31 მაისამდე შეჯამდეს მუშაობა და 1-ლ ივნისს დამთავრდეს სასწავლო წელი.

2) სასწავლო წელი დასრულდეს: მე-4, 5, 6 და 7 კლასებში 10 ივნისის, მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში—20 ივნისს, ყველა სკოლაში აღნიშნულ რიცხვებისათვის უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეთათვის კლასიდან კლასში გადაყვანისა და კურსის დამთავრების მოწმობა, ატესტატების მიცემა.

3) სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით სკოლებში მოეწყოს მხატვრულად გაფორმებული შინაარსიანი დილა (გუნდი, ორკესტრი, ცეკვა, მასობრივი თამაშობა, დეკლამაცია ფიზკულტურული გამოსვლები და ა. შ.) დილაზე ხაზი გაესვას ფრიადოსან მოსწავლეთა წარმატებას და ყოფაქცევას.

დილები 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასის მოსწავლეთათვის და მე-4, 5, 6, 7, 8, 9 და მე-10 კლასების მოსწავლეთათვის მოეწყოს ცალ-ცალკე.

4) სასწავლო წლის შედეგები ცალკე კლასების მიხედვით მოსმენილ იქნას მშობელთა კრებაზე კლასის ხელმძღვანელის მიერ შეჯამებული, ინფორმაციის სახით, ხოლო სკოლების დირექტორებმა და გამგეებმა წლიური მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთონ მასწავლებლების, მშობლებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებაზე.

5) სასწავლო წლის დასასრულისათვის ყველა სკოლაში, დირექტორის (გამგის) მიერ დანიშნული კომისიის მეშვეობით სკოლის საინვენტარო ნიშნებისა და კატეგორიების მიხედვით, შემოწმებულ იქნას სკოლის მთელი ქონება და შესდგეს სათანადო აქტი, რომლის ასლი წარდგენილ იქნას განათლების განყოფილებაში 25 ივნისს.

6) ყველა სასწავლებლის პედსაბჭოს სხდომაზე განხილულ იქნას წლის განმავლობაში ჩატარებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები, გამომჟავნდეს ცალკე კლასების, მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მუშაკების მიღწევა და ნაკლი, დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომი სასწავლო წლის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

7) რაიონებსა და ქალაქებში 22—23 ივნისის რიცხვებში ჩატარდეს სკოლების დირექტორებისა (გამგეების) და მასწავლებელთა თათბირი, რომელზედაც შეჯამებულ იქნას სასწავლო წლის შედეგები, გამოვლინებულ იქნას მოწინავე სკოლებისა და მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის საუკეთესო ნიმუშები და დაისახოს შემდგომი სასწავლო წლის მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

8) განათლების განყოფილებებმა სასწავლო წლის შედეგები შეაჯამონ დაწესებული ფორმით და განსახკომში წარმოადგინონ 5 ივლისს.

9) მასწავლებლებს ორი თვის კუთვნილი შვებულება მიეცეთ 25 ივნისიდან. 25 აგვისტოს მასწავლებლები და სკოლის სხვა მუშაკები დაბრუნდნენ მუშაობის ადგილზე.

10) 25-28 აგვისტოს რიცხვებში ყველა სკოლაში ჩატარდეს განმეორებითი გამოცდები.

11) ახალი სასწავლო წლის ამოცანებთან დაკავშირებით 29-30 აგვისტოს ფარგლებში რაიონებსა და ქალაქებში ჩატარდეს დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა მეთოდური კონფერენციები.

დაწყებითი და საშუალო სკოლის მთავარსამმართველომ პირველ აგვისტომდე დაგზავნოს ადგილებზე კონფერენციის სახელმძღვანელო მასალები და უზრუნველყოს კონფერენციების ხელმძღვანელობა კვალიფიციური მეთოდისტების მივლინებით.

12) სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის შესახებ განცხადებათა მიღება წარმოებულ იქნას პირველი ივნისიდან პირველ აგვისტომდე, ხოლო ჩარიცხვა 10 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. 31 აგვისტოს ყველა სკოლაში მთლიანად დასრულდეს კლასების დაკომპლექტება, გაკვეთილების ცხრილის დამტკიცება და მთელი მოსამზადებელი მუშაობა.

13) 1-ლ სექტემბერს ყველა სკოლაში განახლდეს სასწავლო მეცადინეობა.

**განათლების სახალხო კომისარი**
**ე. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ, განათლების სახალხო
კომისარი — ე. ბურჭულაძე.
7 მარტი 1938 წ.

# ინსტრუქცია

## დაწყებით, ა/ს საშუალო, საშუალო და მოზრდილთა სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ.

### საგამოცდო საგნები ქართულ სკოლებისათვის

1. გამოცდები სწარმოებს მე-4 კლ.—ქართულ ენაში (წერა და ზეპ.), რუსულ ენაში (წერა და ზეპ.), არითმეტიკა (წერა და ზეპ.), ისტორიაში (ზეპ.).

მე-5 კლ. — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპ.), რუსულ ენაში (წერა და ზეპ.), არითმეტიკაში (წერა და ზეპ.) და ბიოლოგიაში (ზეპ.).

მე-6 კლ. — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპ.), რუსულ ენაში (წერა და ზეპ.), არითმეტიკაში (წერა და ზეპ.) და გეოგრაფიაში (ზეპირი).

მე-7 კლ. — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპ.), რუსულში (წერა და ზეპ.), ალგებრაში (წერა), გეომეტრიაში, ისტორიაში, სსრკ კონსტიტუციაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში, ბუნებისმეტყველებაში და უცხო ენაში (ზეპირი).

(არასრული საშუალო სკოლის მეშვიდე კლასში გამოცდა გამოსაშვებია).

მე-8 კლ. — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპ.), რუსულ ენასა და ლიტ. (წერა და ზეპ.), ალგებრაში (წერა და ზეპ.), გეომეტრიაში, ისტორიაში და გეოგრაფიაში (ზეპ.).

მე-9 კლ.—ქართულ ლიტერატურაში (წერა და ზეპ.), რუსულ ენასა და ლიტ. (წერა და ზეპ.), ალგებრაში (წერა), ტრიგონომეტრიაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში და გეოგრაფიაში (ზეპირი).

მე-10 კლ. — ქართულ ლიტერატურაში (წერა და ზეპ.), რუსულ ენასა და ლიტ. (წერა და ზეპ.), ალგებრაში (წერა და ზეპირი), გეომეტრიაში (წერა და ზეპ.), ტრიგონომეტრიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ისტორიაში (ზეპირი) და უცხო ენაში (წერა და ზეპირი). მეათე კლასში გამოცდები გამოსაშვებია.

### საგამოცდო საგნები არაქართულ სკოლებში.

2. ყველა არაქართულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის ადგილებზე იგულისხმება მშობლიური ენა და ლიტერატურა, ხოლო საგამოცდო საგნებს ემატება ქართული ენა და ლიტერატურა.

დანარჩენი საგამოცდო საგნები ერთნაირია ყველა ეროვნების სკოლისათვის.

3. გამოცდებზე ცოდნის შემოწმება სწარმოებს სასწავლო წლის განმავლობაში ფაქტიურად გავლილი მასალის მოცულობით.

იმ სკოლების დირექტორები (გამგეები). რომლებშიაც დაწესებულ პროგრამის მიხედვით რომელიმე სასწავლო საგნის მთლიანად გავლა ვერ მოესწრო, ვალდებულნი არიან რაიონის განათლების განყოფილებას მისცენ ახსნა - განმარტება პროგრამის შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ (გამოცდების დაწყებამდე 10 [illegible] ადრე).

რაიონის [illegible] განყოფილებამ ყველა ასეთი [illegible] შესახებ უნდა აცნობოს განათ[illegible] [illegible]ხალხო კომისარიატს.

4. გამოცდები ტარდება დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილის მიხედვით.

საგამოცდო ცხრილის შედგენის დროს საჭელმძღვანელოდ უნდა იყოს მიღებული შემდეგი:

ა) ერთ დღეს მხოლოდ ერთი გამოცდა ჩატარდება — ზეპირი ან წერითი (წერა უნდა უსწრებდეს ზეპირს).

ბ) წერითი გამოცდას მეოთხე კლასში ერთი საათი ეთმობა, მეხუთე-მეშვიდე კლასებში-არა უმეტეს ორ-ორი საათისა, ხოლო მერვე-მეათე კლასებში — არა უმეტეს სამი საათისა.

დ) ზეპირ გამოცდას მეოთხე-მეშვიდე კლასებში ეთმობა არა უმეტეს ოთხი საათისა, მერვე-მეათე კლასებში კი არა უმეტეს ხუთი საათისა დღეში.

**შენიშვნა:** ა) ერთ საგანში გამოცდა (ზეპირი ან წერითი) ერთ დღეს უნდა დამთავრდეს. თუ საჭირო იქნება, ზეპირი გამოცდის ჩატარების დროს კლასი შეიძლება შუაზე გაიყოს (მაგ. კლასის ერთი ნახევარი გამოცდას აბარებს დილის 9 საათიდან, მეორე ნახევარი კი დღის 12 საათიდან).

ბ) ზეპირი გამოცდების დროს მოსწავლეს, რომელმაც ჩააბარა გამოცდები, შეუძლია დარჩეს კლასში ან წავიდეს. ხოლო წერითი გამოცდების დროს მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლე ვალდებულია დატოვოს საკლასო ოთახი.

5. მოსწავლეები გამოცდებზე დაიშვებიან, თუ ცუდი შეფასების (ნიშნების) რაოდენობა ძირითად საგნებში არ აღემატება მე-4 - 5, 6 კლ. ოთხს, ხოლო მე-7, 8, 9, 10 კლ.-ხუთს.

**შენიშვნა:** ა) მოსწავლე, რომლის ცუდი შეფასების (ნიმუშის) რაოდენობა ძირითად საგნებში აღემატება მე-4, 5, 6 კლ. — ოთხს, ხოლო მე-7, 8, 9, 10 კლ. — ხუთს, რჩება კლასში.

ბ) არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრია ითვლება ცალცალკე საგნად.

6. იმ მოსწავლეთათვის, რომლებსაც ცუდი შეფასება (ნიშანი) აქვთ არა საგამოცდო ძირითად საგნებში, ეწყობა გამოცდები ამ საგნებშიაც. სკოლის დირექტორი (გამგე) გამოყოფს ამისათვის სათანადო დროს საგამოცდო ცხრილში.

7. სკოლაში გამოცდების დაწყებამდე ხუთი დღით ადრე ცხადდება საგამოცდო ცხრილი და მოსწავლეები ეცნობიან მას.

8. მოსწავლეებს ზეპირი გამოცდებისათვის გამეორების გაადვილების მიზნით ეძლევათ ხელზე თანამიმდევრობით დალაგებული პროგრამა.

**შენიშვნა:** გავლილი მასალის ფარგლებში მასწავლებლის მიერ შედგენილ საგამომცდელო პროგრამას ამტკიცებს დირექტორი.

9. გამოცდის დღისათვის მასწავლებელს პროგრამა დაყოფილი აქვს ბილეთებად და ყოველ მოსწავლეს ეძლევა (თითონ იღებს) მოსაფიქრებლად და საპასუხოდ ერთი ბილეთი.

**შენიშვნა:** ა) თუ მოსწავლეს უძნელდება პირველ ბილეთზე პასუხის გაცემა, მას შეუძლია ამოიღოს მეორე ბილეთი, ხოლო ეს გარემოება შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ბ) ბილეთების შედგენის წესის შესახებ იხილე განმარტება (დართულია ბოლოში).

გ) ზეპირი გამოცდები ქართულ ენასა და ლიტ. ერთად ტარდება, მაგრამ შეფასება (ნიშნები) ცალცალკე იწერება.

## წერითი გამოცდების შინაარსი.

10. წერითი გამოცდებისათვის მოსწავლეებს მიეცემათ:

ა) მშობლიური ენასა და ლიტერატურაში: მეოთხე კლასში გავლილი მასალის ფარგლებში მოკლე შინაარსის გადმოცემა.

მე-5—6 კლ.—გავლილი ლიტერატურული მასალის მიხედვით დახასიათება, შინაარსის გადმოცემა.

მე-7 კლ. — გავლილი ნაწარმოების მიხედვით მომქმედი პირების დახასიათება, მხატვრული მოვლენის და ფაქტის აღწერა.

მე-8 — 9 კლ. — მწერლის შემოქმედების დახასიათება ან ცალკე ნაწარმოების გარჩევა.

**შენიშვნა:** გამოცდებზე მიცემული უნდა იქნეს ისეთი თემა ან საკითხი, რომელიც წლის განმავლობაში არ დაწერილა.

ბ) **რუსულ ენაში:**

**მე-4 კლ.** — წიგნიდან ან დაფიდან გადაწერა 5 — 6 სტრიქ.

**მე-5 კლ.** — კარნახი (40 სიტყვის მოცულობით) — განვლილი მასალიდან.

**მე-6 კლ.** — კარნახი (მოცულობით არა უმეტეს 50 სიტყვ.).

**მე-7 კლ.** — კარნახი (მოცულობით არა უმეტეს 75 სიტყვ.).

**მე-8 კლ.** — კარნახი (მოცულობით არა უმეტეს 100 სიტყვ.).

**მე-9 კლ.** — პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა გავლილი მასალიდან (დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებით).

**მე-10 კლ.** — გავლილი მასალიდან პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა (მასწავლებლის მიერ მოთხრობის კლასში წინასწარი წაკითხვით).

**გ) მათემატიკაში:**

**მე-4 კლ.** — არითმეტიკიდან ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი.

**მე-5-6 კლ.** — არითმეტიკიდან ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი.

**მე-7-8 კლ.** — ალგებრიდან ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი.

**მე-9 კლ.** — ალგებრიდან ერთი ამოცანა და ორი მაგალითი.

**შენიშვნა:** მათემატიკაში ამოცანები და მაგალითები მოსწავლეებს ეძლევა ორ-ორ ვარიანტად, (თითო თითეულ მწკრივს) მოსწავლეთა მიერ მუშაობის დამოუკიდებლად შესრულებისათვის.

იმ საგნებში, რომლებისათვის დაწესებულია წერითი და ზეპირი გამოცდები, ჯერ წერითი გამოცდა ტარდება, შემდეგ ზეპირი. ვადა მათ შორის ორ-სამ დღეს არ უნდა აღემატებოდეს. წერითი ნამუშევარი მასწავლებელმა ზეპირ გამოკითხვამდე უნდა გაასწოროს და შეაფასოს.

წერით ნამუშევარს საგნის მასწავლებლის გარდა ეცნობა მასწავლებელი-ასისტენტი, რომელსაც — სკოლის დირექტორი ნიშნავს, წერითი ნამუშევრის შეფასებას განსაზღვრავს ამ საგნის მასწავლებელი ასისტენტის მონაწილეობით.

მეათე კლასის წერითი ნამუშევრებს ასწორებს და ნიშანს სწერს საგნის მასწავლებელი, ასისტენტის მონაწილეობით, რასაც ამტკიცებს დირექტორი.

11. წერითი გამოცდისათვის საჭირო მასალები: თემები, ამოცანები და მაგალითები თითოეული სასწავლო საგნისა და კურსისათვის, გარდა მეათე კლასისა, სკოლაში მზადდება და მტკიცდება დირექტორის (გამგის) მიერ.

წერითი სამუშაოს თემებს მეათე კლასში მშობლიურ ლიტერატურაში და მათემატიკაში გამოცდისათვის საქ. და ავტ. რესპ. განსახკომები ადგენენ და წერითი გამოცდის დღეს განათლების განყოფილებათა გამგეების საშუალებით აცნობებენ სკოლას. სკოლის დირექტორები გამოცდის დაწყების წინ ხსნიან დახურულ პაკეტებს და აცნობებენ საგამოცდო საგნის მასწავლებელს მოცემულ თემებს, ამოცანებს და მაგალითებს. პაკეტების გახსნისას დგება აქტები.

გამოცდებს ატარებს საგნის მასწავლებელი და ასისტენტი-სპეციალისტი.

**შენიშვნა:** მეათე კლ. საგამოცდო კომისიაში უნდა იყოს არა ნაკლებ სამი წევრისა თითეულ დისციპლინაში, კომისიას თავმჯდომარეობს დირექტორი ან სასწავლო ნაწილის გამგე.

12. მე-10 კლასების გამოცდებში განსახკომის დანიშვნით მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე უმაღლეს სკოლების მუშაკები და კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერული თანამშრომლები.

### მოსწავლეთა გადაყვანისა და გამოშვების წესი.

13. მოსწავლის შემდეგ კლასში გადაყვანა და სკოლიდან გამოშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ მას სასწავლო კურსის ყველა საგანში აქვს შეფასება არა ნაკლებ „საშუალო"-სი.

**შენიშვნა:** ა) საბოლოო წლიური შეფასება (ნიშანი), ემყარება წლის ოთხ მეოთხედში და გამოცდებზე მიღებულ შეფასებებს.

ბ) წლიური საბოლოო შეფასების დროს ქართულ ენასა და ლიტერატურაში იწერება თითო ნიშანი (ზეპირსა და წერაში ცალკე შეფასება არ წარმოებს).

14. შეფასება სწარმოებს ხუთი ხარისხის მიხედვით: ფრიადი, კარგი, საშუალო, ცუდი, ძლ. ცუდი. კურსის დამთავრების მოწ-

მობაში შეფასება სრული სიტყვებით იწერება.

15. სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ხელზე ეძლევათ:

ა) საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს — ატესტატი,

ბ) დაწყ. და ა/ს საშ. სკოლის კურსდამთავრებულებს — მოწმობა.

გ) კლასიდან კლასში გადაყვანისას—მოწმობები ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასების აღნიშვნით.

16. მოსწავლეებს, რომლებიც ყველა ძირითად საგანში მიიღებენ წლიურ შეფასებას (ნიშნებს) არა ნაკლებ „ფრიადისა", დანარჩენ საგნებში-არა ნაკლებ „კარგისა", ხოლო ყოფაქცევაში-„ფრიადს", ეძლევათ ფრიადოსნის ატესტატი უმაღლეს სკოლაში უგამოცდოდ შესვლის უფლებით.

**შენიშვნა:** ეს მუხლი არ ვრცელდება მოზრდილთა სკოლების კურსდამთავრებულებზე.

17. მოსწავლენი, რომლებიც ცუდი ნიშნებით იქნებიან შეფასებული გამოცდის დროს, განმეორებით (საშემოდგომო) გამოცდებზე დაიშვებიან თუ ცუდი შეფასების (ნიშნების) რაოდენობა ძირითად საგნებში არ აღემატება სამს.

18. საშემოდგომო გამოცდების ჩატარება ხდება საგამოცდო კომისიებში, დაწესებულ ვადებში.

**შენიშვნა:** მოსწავლე, როგორც წესი, განმეორებით გამოცდებს აბარებს იმავე სკოლაში, სადაც ის სწავლობდა. საპატიო შემთხვევაში, განყოფილების დასტურით, მოსწავლეს უფლება ეძლევა განმეორებითი გამოცდები ჩააბაროს იმ სკოლაში, რომელშიაც გადადის.

19. მოსწავლეები, რომლებიც განმეორებითი გამოცდების შემდეგ საბოლოო შეჯამების დროს ცუდ შეფასებას (ნიშანს) მიიღებენ, თუნდაც ერთ ძირითად საგანში, იმავე კლასში რჩებიან.

20. პირობით გადაყვანა აკრძალულია.

21. მესამე წელიწადს დატოვება დაუშვებელია, ორ წელს ერთ და იმავე კლასში ნამყოფნი, რომლებიც ვერ ჩააბარებენ განმეორებით გამოცდებს რომელიმე საგანში, სკოლიდან გაირიცხებიან და სკოლა ვალდებულია მისცეს მათ ცნობა იმის შესახებ, თუ რა საგნები აქვს გავლილი სკოლაში და რომელ მათგანში შეიძლება ჩაეთვალოს სკოლის კურსი შეთვისებულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოსამზადებელი მუშაობა გამოცდების ჩატარებისათვის.**

1. სასწავლო წლის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში თითოეული მასწავლებელი იმეორებს მოსწავლეებთან იმ მასალას, რომელიც მან წლის განმავლობაში გაიარა თავის საგანში.

2. გავლილი მასალის გამეორება სწარმოებს კლასში, გაკვეთილებზე (ახალი საპროგრამო მასალის დამუშავების პარალელურად), და აგრეთვე, მოსწავლეების მიერ შინ, მასწავლებლის დავალებათა მიხედვით ისე, რომ ადგილი არ ექნეს მოსწავლეთა გადატვირთვას.

3. გამეორების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მეცადინეობას.

4. სკოლის დირექტორი და პედაგოგიური კოლექტივი აცნობენ და უმარტავენ მოსწავლეებს და მშობლებს გამოცდების ორგანიზაციას და მნიშვნელობას.

5. პედაგოგიურ საბჭოს უფლება ეძლევა მოსწავლეს, ავადმყოფობისა და სხვა საპატიო შემთხვევაში, გადაუდოს გამოცდები შემოდგომისათვის.

**გამოცდების ორგანიზაცია და ჩატარების წესი.**

6. გამოცდები ტარდება მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და მათ მიერ სკოლის დამთავრების დროს.

7. I, II, III კლ. გამოცდები არ ტარდება. ამ კლასების მოსწავლეთა გადაყვანა ან იმავე კლასში დატოვებაც ცოდნის წლიური შეფასების (ნიშნების) მიხედვით სწარმოებს.

8. I, II, III კლ.—ცუდი წარმატების მქონე მოსწავლეს ენიშნება გამოცდები შემოდგომისათვის, თუ ცუდი შეფასების (ნიშნების) რაოდენობა ძირითად საგნებში არ აღემატება სამს.

**შენიშვნა:** მოსწავლეები, რომლებიც საშემოდგომო გამოცდებზე ცუდ შეფასებას (ნიშანს, მიიღებენ თუნდაც ერთ ძირითად საგანში, იმავე კლასში რჩებიან.

9. მე-4, 5, 6, 8, 9 კლასებში სწავლა მთავრდება 17 მაისს, ხოლო მე-7 და მე-10 კლასებში და არაქართულ სკოლებში,—15 მაისს, გამოცდები იწყება: მე-7 და მე-10 კლასებში და არაქართულ სკოლებში 17 მაისს, დანარჩენ კლასებში-20 მაისს და გრძელდება: მე-4-5-6-7 კლასებში 7 ივნისამდე, მე-8, 9, 10 კლასებში — 18 ივნისამდე.

10. 20 ივნისიდან 25 ივნისამდე სკოლა აჯამებს წლის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობას და ანგარიშს უდგენს განათლების განყოფილებას.

# დამატება

## განმარტება ბილეთების შედგენის წესის შესახებ.

გამოცდების წინ 10 დღით ადრე მასწავლებელი აძლევს კლასს წლის განმავლობაში გავლილი მასალის პროგრამას. ამ პროგრამაში მასალა დალაგებულია თანამიმდევრობით, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს გამეორება და მომზადება, ხოლო გამოცდებისათვის მასწავლებელი საპროგრამო მასალას სპეციალურად ყოფს ბილეთებად (20-25 ბილეთი).

ბილეთები უნდა იყოს თანაბარი მოცულობისა და სიძნელის. ბილეთში მოცემული უნდა იყოს მასალა საგნის სხვადასხვა განყოფილებიდან, მაგალითად:

**ქართული ენა და ლიტერატურა, მე-6 კლ.**
**ბილეთი:**

1. გიორგი წერეთლის ბიოგრაფია.
2. ლუარსაბ თათქარიძის („კაცია-ადამიანი!?) და სამსონ ჯიბიაშვილის („რუხი მგელი") შედარებითი დახასიათება,
3. ანდუყაფარ დიდებულიძის („გაყრა") მონოლოგი ზეპირად: „ჰეი, ოჯახო, კარგო ოჯახო..."
4. ერთპირიანი ზმნების უღვლილება.

**რუსული ენა და ლიტ. მე-6 კლ.**

**ბილეთი:** 1. Рассказ: „Льдина холодина". Заглавие 4-х частей и содержание 1-ой части.

2. Найзусть „Зимняя дорога".

3. Разбор предложения: „По дороге зимней скучной тройка борзая бежит".

**გერმანული ენა მე-7 კლ..** (სახელმძღვანელო კამინსკაია და ჩაპლინი, მეორე ნახევარი).

**ბილეთი:** 1. წაკითხვა მე-25 პარაგრაფისა და შინაარსის გადმოცემა კითხვების საშუალებით.

2. მასწავლებლის მიერ მიცემული წინადადების გადათარგმნა.

3. არსებითი სახელის „გენიტივის" ფორმები, (მამრობითი, დედრობითი და საშუალო სქესი მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვებში);

ამ ფორმების მონახვა წაკითხულ ტექსტში.

**ისტორია მე-4 კლ.**

**ბილეთი:** 1. უძველესი სახელმწიფოები ჩვენს ქვეყანაში.

2. დეკაბრისტები.

3. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

**არითმეტიკა მე-5 კლ.**

**ბილეთი:** 1. იპოვეთ 20 მანეთის 3/4 ნაწილი.

2. 2/5: 3/4, ამ შეფარდების წევრები გამოსახეთ მთელი რიცხვებით.

3. უცნობი რიცხვის 7% არის 84, იპოვეთ უცნობი რიცხვი.

**გეომეტრია მე-7 კლ.**

**ბილეთი:** 1. მრავალკუთხედის შიდაკუთხეების ჯამი.

2. ქორდითა და მხებით შედგენილი კუთხის გაზომვა.

**ალგებრა მე-9 კლ.**

**ბილეთი:** 1. არითმეტიკული პროგრესიის წევრთა ჯამის ფორმულის გამოყვანა.

2. გაალოგარითმეთ: $X=\frac{a^2\sqrt[7]{b^{-3}C^4}}{d\sqrt[4]{a^m d^{-5}}}$

3. რთული პროცენტების ძირითადი ფორმულა.

**ქიმია მე-7 კლ.**

**ბილეთი:** 1. ჟანგეულები. არალითონების და ლითონების ჟანგეულები; მათი მიღება პირდაპირი და არაპირდაპირი ხერხით.

2. არალითონების ჟანგეულების ჰიდრატები (წყალნაერთები) მათი წყალხსნარების თვისებები.

3. ატომიური წონა და ატომის წონა.

4. ნივთიერებათა წონის მარადისობის კანონი, ატომიურ მოლეკულური თეორიის თვალსაზრისით.

**ფიზიკა მე-10 კლ.**

**ბილეთი:** 1. რაში მდგომარეობს ნიუტონის მეორე კანონი?

2. რას ეწოდება სითბოს მექანიკური ექვივალენტი და როგორ ხდება მისი ექსპერიმენტალური განსაზღვრა?

3. რა პრინციპზეა აგებული ცვლადი დენის დინამო მანქანა?

4. როგორ ხდება სინათლის სიჩქარის გამოანგარიშება?

5. რამდენი კულონი ელექტროობა გავლის გამტარის განივკვეთში, როცა 4,5 A დენი 2 მინუტს გადის?

**გეოგრაფია მე-6 კლ.**

**ბილეთი:** 1. დაასახელეთ და გვაჩვენეთ რუკაზე ევროპის უმთავრესი ქედები, დაბლობები, ზეგნები.

2. შეადარეთ ევროპის ზედაპირის მოყვანილობა აფრიკისას.

3.ახსენი ევროპის მდინარეების დენის ხასიათი ზედაპირის მოყვანილობის მიხედვით.

4.გვიჩვენე რუკაზე საფრანგეთის კოლონიები აფრიკაში და განმარტე მათი მნიშვნელობა საფრანგეთისათვის.

**ბიოლოგია მე-9 კლ.**

**ბილეთი:** 1. ევოლუციის დამამტკიცებელი საბუთები შედარებითი ანატომიიდან და ფიზიოლოგიიდან.

2. მენდელიზმი—ორი რასის (ჯიშისა) შეჯვარება ცდები ღამის ტურფაზე და მუხუდოებზე.

3. რუდიმენტალური ორგანოები და ატავიზმის მოვლენები ადამიანის წარმოშობის საკითხში.

**დაწყებითი და საშუალო სკოლების მთავარსაზმართველოს უფროსი**

**ვ. იმედაშვილი.**

**მოზრდილთა განათლების მთავარსამმართველოს უფროსი შ. მუჩიაშვილი.**

---

# ბრძანება № 1121

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წლის „9“ მარტს.**

I

განთავისუფლდეს თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე **ლავრენტი ხიმონიძე გეგეშიძე** ა/წ 5 მარტიდან.

II

ამავე რიცხვიდან ამხ. **ლავრენტი გეგეშიძე** დაინიშნოს საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ.

**საფუძველი:** საქ. სსრ სახ. კომისართა საბჭოს ა/წ 5 მარტის დადგენილება, ოქმი № 12.

განათლების სახალხო კომისარი **ერ. ბურჯულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია

## 1938 - 39 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ.

სკოლის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და მთავრობის მთელ რიგ ისტორიულ დადგენილებათა და პირადად ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლის საფუძველზე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ ხარისხის მიღწევა, „სკოლის ძირითადი ნაკლის“ საბოლოო ლიკვიდაცია და ძოსწავლეებისა და მასწავლებლებისადმი ქართველი ხალხის ღირსეული შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** 1936 წლის 1 სექტემბრის მოწოდების წარმატებით შესრულება, განათლების ორგანოებს, სკოლის დირექტორებს და სკოლის თითოეულ მუშაკს ავალებს ამთავითვე გაშალონ თანამიმდევარი გეგმიანი მუშაობა 1938/39 სასწავლო წლისათვის ყოველმხრივ მზადყოფნით შესახვედრად; გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ იმ მავნე პრაქტიკას, როცა სკოლები მოუმზადებელი ხვდებოდნენ ახალ სასწავლო წელს, როცა დაუსრულებლად წარმოებდა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებელთა დანიშვნა-გადაჯგუფება და სხვ.

განათლების სახალხო კომისარიატი ანიჭებს რა უდიდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას ახალ სასწავლო წლისათვის მზადების საქმეს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ამოცანის ღირსეულად შესრულება და სწავლა-აღზრდის საქმეში მაღალი მაჩვენებლების მისაღებად საჭირო ყველა წინაპირობათა დროულად მოგვარება მოითხოვს განათლების ყველა ორგანოებისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის აქედანვე დარაზმვას, საჭიროდ სთვლის გატარებული იქნას შემდეგი ღონისძიებანი:

### I. სკოლის დაკომპლექტების დარგში.

**1. განათლების კომისარიატის ხაზით.**

ა) განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის და მოზრდილთა სკოლის მთავარსამმართველოებმა, საგეგმო საფინანსო განყოფილებასთან ერთად არა უგვიანეს 25 აპრილისა, უნდა დაიყვანონ ადგილებამდე დაზუსტებული ; ცნობები 1-ლ მე-5, და მე-8 კლასებში, პედსასწავლებლების 1-ლ კლასებში და მოზრდილთა სკოლებში მისაღებ კონტიგენტის შესახებ.

ბ) დაწყებითი და საშუალო სკოლის მთავარსამმართველომ, საგეგმო-საფინანსო განყოფილებასთან ერთად, არა უგვიანეს 30 მაისისა შეამოწმონ ადგილებზე ახლად გასახსნელ სკოლებისათვის შექმნილი პირობები (შენობა, მოსწავლეთა კონტიგენტი, კადრები და სხვ.), რის შემდეგ მიეცეს რაიონებს ახალი სკოლის გახსნის ნებართვა.

**2. განათლების განყოფილებათა ხაზით.**

ა) განათლების განყოფილებათა გამგეები ახლავე უნდა შეუდგნენ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერას: შეადგინონ სახელობითი სიები ცალკეულ სოფლებისა და მახლობელ სკოლების მიხედვით (რომლის ერთი ცალი უნდა ინახებოდეს სკოლაში, ხოლო მეორე განათლების განყოფილებაში.) და დაჯამებული ცნობები წარმოადგინონ განსახკომის საფინანსო განყოფილებაში არა უგვიანეს 15 ივნისისა.

ბ) განათლების განყოფილების გამგეებმა ა/წ. 25 აგვისტოსათვის უზრუნველჰყონ პირველი კლასების დაკომპლექტება იმ ვარაუ-

დით, რომ არცერთი სასკოლო ასაკის ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეშე.

გ) განათლების განყოფილებებმა არა უგვიანეს 10 მაისისა უნდა წარუდგინონ განსახკომის საგეგმო-საფინანსო განყოფილებას ახლად გასახსნელ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების სახელობითი სიები (1-ლი, მე-5, და მე-8 კლასების რაოდენობის აღნიშვნით) დამტკიცებული ქსელის, კონტიგენტის და ბიუჯეტის ფარგლებში.

დ) განათლების განყოფილებებმა ახალი სკოლების გახსნისათვის მოთხოვნილების წარმოდგენისას მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ასეთი ნებადართული იქნება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გამორკვეული იქნება ახალი სკოლის გახსნისათვის სრული მზადყოფნა.

ე) განათლების განყოფილებათა გამგეებს კატეგორიულად ეკრძალებათ ყოველგვარი ცვლილების შეტანა დამტკიცებულ ქსელსა და მოსწავლეთა კონტიგენტში.

## II. კადრების აღრიცხვა-განაწილების დარგში.

### 1. განათლების კომისარიატის ხაზით.

ა) ხელმძღვანელ კადრების სამმართველომ დროულად უზრუნველჰყოს განს. განყოფილებათა გამგეებისა და ინსპექტურის სათანადო კადრებით დაკომპლექტება.

ბ) დაწყებითი და საშუალო სკოლის მთავარსამმართველომ, მოზრდილთა სკოლის და საბავშვო სახლების სამმართველოებმა, უმაღლესი სკოლის სამმართველოსთან ერთად, ა/წ. 25 მარტამდე შეისწავლოს და აღრიცხოს ის პირები, რომლებიც მიმდინარე წელს ამთავრებენ პედაგოგიურ და უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებს (უნივერსიტეტი, პედაგოგიური და სამასწ. ინსტიტუტები, პედასწავლებლები). აღრიცხვის დროს გამორკვეულ უნდა იქნეს, თუ სად სურს იმუშაოს თითოეულ მათგანს კურსის დამთავრების შემდეგ, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი განაწილების დროს.

გ) დაწყებითი და საშუალო სკოლის მთავარსამმართველომ ა/წ. 25 მარტამდე აღრიცხოს ყველა ის მასწავლებელი, რომელიც ირიცხება უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლების დაუსწრებელ სექტორის III და IV კურსებზე და კადრების გადაჯგუფებისა და ახალი კადრების განაწილების დროს მიიღოს მხედველობაში მათი დაწინაურების საკითხი.

დ) ნაცუმცირესობათა სკოლების (სომხური, აზერბეიჯანული, ქურთული, ბერძნული, ასურული, და სხვ.) საუკეთესო მომზადებული კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწყ. და საშ. სკოლის მთავარსამმართველომ არა უგვიანეს 30 აპრილისა მოაგვაროს საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომებთან სათანადო კადრების გამოთხოვით და მათი დროული განაწილებით სკოლებში.

ე) დაწყებით და საშ. სკოლის მთავარსამმართველომ, მოზრდილთა სკოლების, საბავშვო სახლების, საკლუბო-საბიბლიოთეკო სამმართველოებმა და სკოლამდე აღზრდის განყოფილებამ ა/წ. 15 მაისამდე დააშთავროს დაწესრიგში მოიყვანოს მასწავლებელთა პირადი საქმეები (სააღრიცხვო ბარათი, აღრიცხვის წიგნები და სხვ.).

ვ) დაწყ. და საშ. სკოლის და მოზრდილთა სკოლების სამმართველოებმა განათლების განყოფილებათა მოთხოვნილების საფუძველზე არა უგვიანეს 15 ივნისისა დაამთავრონ კადრების განაწილება (მოხსნა, განთავისუფლება, გადაყვანა, დაწინაურება, დანიშვნა) და სათანადო ბრძანებები დაუგზავნონ ადგილებს.

### 2. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ხაზით.

ა) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმა დაწყ. და საშ. სკოლის მთავარსამმართველოსთან ერთად არა უგვიანეს 1-ლი აპრილისა შეადგინოს და წარმოადგინოს ღონისძიებანი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მომზადებისა და დანარჩენი საგნების მასწავლებელთა გადამზადების შესახებ. აღნიშნული ღონისძიება უნდა ითვალისწინებდეს საზაფხულო არდადეგებამდე და არდადეგების პერიოდში, როგორც რესპუბლიკურ, ისე ადგილობრივ ხასიათის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს.

ბ) მასწავლებელთა კვალ. ამაღლების ინსტიტუტმა უნდა შეადგინოს გათვალისწინებული კურსების სასწავლო გეგმები და წარმოადგინოს განსახკომში დასამტკიცებლად არა უგვიანეს 1-ლი აპრილისა.

გ) აღნიშნული კურსების კადრებითა და ბინით უზრუნველყოფის მიზნით (ზაფხულის პერიოდში) კვალ. ამაღლების ინსტიტუტმა დაწყ. და საშ. სკოლის მთავარსამმართველოსთან ერთად, აქედანვე უნდა დაუდვას ხელშეკრულება ლექტორებსა და სათანადო ორგანიზაციებს.

**3. განათლების განყოფილებათა ხაზით.**

ა) განათლების განყოფილებათა გამგეები ეხლავე შეუდგნენ რაიონის მასწავლებელთა ზუსტ აღრიცხვას მათი ცენზის, სპეციალური საგნის, სტაჟის, დატვირთვისა და ადგილსამყოფელის მიხედვით და ა/წ. 15 აპრილამდე წარმოადგინონ განსახკომში მოთხოვნილება საჭირო კადრების შესახებ.

ბ) კადრებზე მოთხოვნილებათა წარმოდგენასთან ერთად ყველა რაიგანათლების განყოფილებამ უნდა წარმოადგინოს პროექტი არსებულ შტატში მოსალოდნელ ცვლილებათა შესახებ (მოხსნა, განთავისუფლება, ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადაყვანა, თანამდებობიდან ჩამოყენება და სხვ.).

გ) განათლების განყოფილებებმა არა უგვიანეს 15 აპრილისა აღრიცხონ რაიონებში მცხოვრები ის პირები, რომლებიც თხოულობენ მასწავლებლობას, მათი სიები, სათანადო დახასიათებებით და მათი გამოყენების შესაძლებლობის აღნიშვნით, კადრებზე მოთხოვნილების წარმოდგენასთან ერთად გამოგზავნონ განსახკომში.

დ) მოთხოვნილებაში გაითვალისწინონ აგრეთვე იმ მასწავლებელთა დაწინაურების საკითხი, რომლებიც ჩაბმული არიან დაუსწრებელ სწავლებაში და უფროს კურსებზე ირიცხებიან.

ე) წარმოდგენილ მოთხოვნილებაში გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული რა საგნის მასწავლებელია საჭირო მომავალ წელს, რა ცენზის, რომელ ენაზე უნდა ასწავლოს, დატვირთვის (საათების) რაოდენობა და რომელ სკოლაში იქნება გამოყენებული.

ვ) განათლების განყოფილებებმა არა უგვიანეს 30 მარტისა მოაგვაროონ და წესრიგში მოიყვანონ დაწყებითი, ა/ს. საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირადი საქმეები ნათელ სურათს უნდა იძლეოდეს მასწავლებლის ცენზის, სტაჟის, სამუშაოს ადგილ-ცვალებადობის, მუშაობის ხარისხის ან რაიმე სასჯელის დადების და სხვათა შესახებ.

ზ) განათლების განყოფილების გამგეებმა სკოლის დირექტორებთან ერთად უნდა უზრუნველჰყონ ახლად დანიშნული მასწავლებლები ბინებით და საჭირო თანხებით (პირველი თვის ხელფასის მიღებამდე) და მიიღონ ყოველგვარი ზომები ადგილებზე მათი დროულად გადაყვანისა და სათანადო პირობების შექმნისათვის.

თ) განათლების განყოფილების გამგეებმა სკოლების დირექტორებთან ერთად 15 ივნისამდე უნდა აცნობონ ყველა მასწავლებელს მისი დატვირთვის შესახებ მომავალ სასწ. წლისათვის.

გაკვეთილების განაწილების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არსებული წესები და არ იქნეს დაშვებული საგნის რამდენიმე მასწავლებლის ხელში დაქუცმაცების შემთხვევები, ან დღემდე ზოგიერთ სკოლაში არსებული დაუშვებელი პრაქტიკა, როცა დირექტორები და სასწ. ნაწ. გამგეები გადატვირთული არიან საათებით. აღნიშნული განაწილების საფუძველზე სასწ. ნაწილის გამგეებმა უზრუნველჰყონ სასწ. ცხრილების შედგენა ივნისში.

ი) ამავე რიცხვისათვის (15 ივნისი) სკოლების დირექტორებმა გამოცდილ მასწავლებელთა რიცხვიდან უნდა გამოყონ კლასების ხელმძღვანელები და წინასწარ გააფრთხილონ ისინი ამის შესახებ.

კ) განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლის დირექტორებმა არა უგვიანეს 15 ივლისისა შეიძინონ და იქონიონ განსახკომის ინსტრუქციის მიხედვით სათანადოდ გაფორმებული, სკოლების პირადი შემადგენლობის წიგნი.

ლ) ახალ სას. წლის ამოცანებთან დაკავშირებით განათლების განყოფილებათა გამგეებმა, მათი უშუალო ხელმძღვანელობით, უნდა ჩაატარონ მასწავლებელთა მეთოდური კონფერენციები (28 — 30 აგვისტო).

მ) განათ. განყოფილებათა გამგეებმა ამთავითვე შეადგინონ იმ მასწავლებელთა სიები, რომლებმაც უნდა გაიარონ რესპუბლიკური და ადგილობრივი ხასიათის გადასამზადებელი სხვადასხვა კურსები (დათმობილ ადგილების მიხედვით) და მიიღონ ზომები მათი ამ კურსებში 100%-ით ჩაბმისათვის.

## III. შენობათა, სასწავლო დგამ-ავეჯის და სკოლის კარმიდამოს მოამზადება- მოწესრიგების დარგში.

### 1. განათლების კომისარიატის ხაზით.

ა) საგეგმო-საბიუჯეტო გახყოფილებამ უზრუნველჰყოს რაიონების ახალ სასკოლო შენობათა მშენებლობისა და რემონტისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ საჭირო თანხებით დროულად დაფინანსება.

ბ) სასკოლო მშენებლობის სამმართველომ კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოს ახალ შენობათა (დამტკიცებულ პროექტების მიხედვით) მშენებლობის და რემონტის მიმდინარეობას და ცნობები, მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ყოველ 10 დღეში წარუდგინოს განათლების სახალხო კომისარს.

გ) განათლების სახალხო კომისარიატის ყველა სამმართველომ ა/წ. 25 მარტამდე გამოჰყოს რაიონებზე დახმარებისათვის მისამაგრებლად პასუხისმგებელი ამხანაგები და უზრუნველჰყოს კონკრეტული ხელმძღვანელობისა და ოპერატიული დახმარების გაწევა ყველა რაიონზე ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში.

### 2. განათლების განყოფილებათა ხაზით.

ა) განათლების განყოფილებებმა და სკოლების დირექტორებმა არა უგვიანეს 30 მარტისა ჩაატარონ სკოლების ინვენტარიზაცია და იქონიონ სათანადოდ გაფორმებული საინვენტარო წიგნი.

ბ) 25 მარტისათვის ჩაატარონ სკოლების შემოწმება სასკოლო შენობებით და სასწავლო დგამ-ავეჯით სკოლის უზრუნველყოფის გამორკვევის მიზნით და ამის საფუძველზე დასახონ კონკრეტული გეგმა.

გეგმა უნდა ითვალისწინებდეს: რა სახის რემონტს საჭიროებს შენობა, რა, და რამდენი მასალაა საჭირო რემონტისათვის, რამდენი მერხი, სკამი, მაგიდა, დაფა და სხვა სასწავლო ინვენტარი მოითხოვს შეკეთებას, რამდენის ხელახლა შეძენაა საჭირო, გარკვეულ უნდა იქნეს სამუშაოს პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადა, ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობა და სხვა.

გ) განათლების განყოფილებები—სკოლების დირექტორებთან ერთად, ახლავე უნდა შეუდგნენ არსებულ სასკოლო ინვენტარის წვრილმან რემონტს და ახალის დამზადებას იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაო დასრულებული იქნას 25 ივლისისათვის. ახალი ინვენტარის დამზადების დროს დაცული უნდა იქნეს სასკოლო ინვენტარის მიღებული სტანდარტები და არ იქნას დაშვებული სხვა ტიპის ინვენტარის დამზადება.

დ) განათლების განყოფილებები და სკოლების დირექტორები ახლავე უნდა შეუდგნენ სკოლების შენობათა გათვალისწინებულ რემონტისათვის საჭირო მასალის (სილა, ხრეში, ხის მასალა, ქვა, სახელურები და სხვ.) მომარაგება-მოზიდვას იმ ვარაუდით, რომ სკოლაში სასწავლო მუშაობის დამთავრებისას შესაძლებელი გახდეს რემონტის დაუყოვნებლივ დაწყება. ყველა სკოლაში კაპიტალური და მიმდინარე რემონტი დამთავრებული უნდა იქნას ა/წ. 20 აგვისტოსათვის.

ე) ადგილებზე ახლავე შეუდგნენ სკოლის ნაკვეთის, ეზოების მოწყობა-შემოღობვას, საპირფარეშოების აგებას, ეზოების დაგეგმვა- გამწვანების, ფიზკულტურული მოედნების მოწყობას და სხვა, იმ ვარაუდით, რომ მთელი სამუშაო ოასრულებულ იქნას არა უგვიანეს 30 ივლისისა.

ვ) განათლების განყოფილებებმა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებისა (რაიონალმასკომი, სოფლის საბჭო) და კოლმეურნეობათა დახმარებით უზრუნველჰყონ სკოლების შეშით და სხვა სათბობი მასალით მომარაგე-

ბა. სათბობი მასალა ადგილზე მიზიდულ იქნას არა უგვინეს 20 აგვისტოსი.

გ) ყველა, ზემოაღნიშნულ სამუშაოების შესრულების შემდეგ განათლების განყოფილებებმა—სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად (კომკავშირი, პროფკავშირი, სოფლის საბჭო, კოლმეურნეობა და სხვ.), შეამოწმონ სკოლების მზადყოფნა სასწავლო წლისათვის და შემოწმების აქტის ერთი ცალი გადმოგზავნონ განათლების სახალხო კომისარიატში.

## IV. პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, სასწ. ხელსაწყოებით, ბიბლიოთეკებით, კაბინეტებითა და აღრიცხვა-დოკუმენტაციისათვის საჭირო მასალებით სკოლების უზრუნველყოფის დარგში.

### 1. განათლების კომისარიატის ხაზით.

ა) დაწყებითი და საშ. სკოლის მთავარსამმართველომ 15 მარტამდე დააზუსტოს სტაბილურ სახელმძღვანელოთა სია და სახელგამთან ერთად უზრუნველჰყოს მათი გამოცემა და ადგილებზე დაგზავნა ა/წ. 30 აგვისტომდე.

ბ) დაწყებით და საშ. სკოლის მთავარსამმართველომ ა/წ. 15 მარტამდე გამოარკვიოს ზოგიერთი სახელმძღვანელოს მოსალოდნელი შეცვლის საკითხი და უზრუნველჰყოს რსფსრ განსახკომიდან ახალი სახელმძღვანელოების ასლების მიღება და მათი დროული გამოცემა.

გ) დაწყ. და საშ. სკოლის მთავარსამმართველომ ა/წ. 25 მარტამდე დააზუსტოს იმ სახელმძღვანელოების სია და რაოდენობა, რომელიც შემოტანილ უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკებიდან ნაც. უმცირესობათა სკოლებისათვის და ხელშეკრულების საფუძველზე სახელგამთან ერთად უზრუნველჰყოს ასეთების შემოზიდვა არა უგვიანეს 15 აგვისტოსი.

დ) სახელგამმა ა/წ. 15 აპრილამდე წარმოუდგინოს განათლების სახ. კომისარს საწერი, სახატავი და სხვა სახის რვეულების დამზადებისა და ადგილებზე დაყვანის გეგმა განსახკომის შეკვეთის საფუძველზე.

ე) განსახკომის ყველა სამმართველომ ა/წ. 30 ივნისამდე უზრუნველჰყოს 1938/39 სასწ. წლისათვის საჭირო პროგრამების გამოცემა და ადგილებზე დაყვანა.

ვ) განსახკომის საინსპექტორო-მეთოდურმა განყოფილებამ და განსახკომის სისტემაში შემავალმა მეთოდ-კაბინეტებმა დროულად და სისტემატურად უზრუნველჰყონ მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარების გაწევის ორგანიზაცია, პროგრამების ანალიზი, მეთოდური ხასიათის წერილების დამუშავება ცალკე დისციპლინებში, სანიმუშო და ღია გაკვეთილების გეგმების მიცემა, მეთოდ-თათბირების მოწყობა და საუკეთესო ნამუშევრების განხილვა-განზოგადოება, ცალკე დისციპლინების მასწავლებელთათვის მუდმივი კონსულტაციების გაწევა, წერითი სამუშაოების საკითხთა განხილვა-დამუშავება და სხვ.

ზ) დაწყ. და საშ. სკოლების მთავარსამმართველომ ა/წ. 15 აპრილამდე შეიმუშაოს სასკოლო დოკუმენტების (საკლასო ჟურნალები, სკოლის დღიური, მოსწავლეთა დღიური, წარმატების აღრიცხვის ფორმები, მოსწავლეთა მოწმობებისა და ატესტატების ფორმები, პირადი შემადგენლობის წიგნი, ბრძანებათა წიგნი, საინვენტარო წიგნი, მოსწავლეთა წარმატებისა და ქცევის აღრიცხვის მეოთხედური შეჯამების ფორმები და სხვ.) ნიმუშები და წარმოუდგინოს განათლების სახალხო კომისარს დასამტკიცებლად. სახელგამმა აღნიშნულ დოკუმენტების გამოცემა უზრუნველჰყოს არა უგვიანეს 20 აგვისტოსი.

თ) დაწყებითი და საშ. სკოლის მთავარსამმართველომ ა/წ. 15 ივნისამდე შეადგინოს და წარმოუდგინოს კომისარს დასამტკიცებლად სასკოლო ბიბლიოთეკების შევსების კალენდარული გეგმა (რა სახის ლიტერატურა გაეგზავნება, რა რაოდენობით, რომელ სკოლას, საჭირო თანხების რაოდენობა და სხვ.).

ი) დაწყებითი და საშ. სკოლის მთავარსამმართველომ საგეგმო-საფინანსო განყოფილებასთან ერთად ა/წ. 15 აპრილამდე უზრუნველჰყოს პედ. სასწავლებლებისათვის და განგ. განყოფილებათა მიერ სახელგამთან, „ტექნიკა და შრომა“-სთან ხელშეკრულების და-

დება-გაფორმება კაბინეტებით, ლაბორატორიებით და სხვა სასწ. ხელსაწყოებით სკოლების მომარაგების შესახებ.

**2. განათლების განყოფილებათა ხაზით.**

ა) განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელობით სკოლის დირექტორებმა ჩაატარონ სასკოლო კაბინეტების და ლაბორატორიების ინვენტარიზაცია და 15 აპრილისათვის იქონიონ სათანადოდ გაფორმებული საინვენტარო წიგნი (ცალკე კაბინეტების და ლაბორატორიების მიხედვით).

ბ) განათლების განყოფილებებმა განსახკომის დაწყ. და საშ. სკოლის მთავარსამმართველოსთან ერთად ა/წ. 15 აპრილამდე დასდონ სათანადო ხელშეკრულება სახელგამთან და გამ — ბა „ტექნიკა და შრომა"-სთან სკოლის კაბინეტ-ლაბორატორიებით უზრუნველყოფის შესახებ.

გ) სკოლის დირექტორებმა ა/წ. 30 ივლისამდე უზრუნველჰყონ კაბინეტებში და ლაბორატორიებში ხელსაწყოებისა და დამხმარე ინვენტარის შეკეთება-შეძენა.

დ) განათლების განყოფილებებმა და სკოლების დირექტორებმა ახლავე გამოყონ სასკოლო კაბინეტებისათვის და ბიბლიოთეკებისათვის საჭირო ოთახები და უზრუნველჰყონ ისინი სათანადო ინვენტარით (მაგიდები, კარადები, და სხვ.).

ე) განათლების განყოფილებებმა აღნიშნული ხაზით შედგენილი სამუშაო გეგმები წარმოუდგინონ განათლების სახალხო კომისარს დასამტკიცებლად არა უგვიანეს 15 მარტისა.

**სკოლების ქონების დაცვის დარგში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლის დირექტორებს, პირადად ევალებათ ა/წ. პირველი სექტემბრისათვის ყოველ სკოლაში ჰქონდეთ:

ა) სკოლის პასპორტი (განსახკომის ინსტრუქციის მიხედვით),

ბ) საინვენტარო წიგნი, სადაც შეტანილი იქნება სკოლის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება,

გ) ყველა კაბინეტისა და ლაბორატორიის კატალოგი...

დ) საბავშვო და სამასწავლებლო ბიბლიოთეკის კატალოგები,

ე) სკოლის საქმეებისა და სადოკუმენტო-საარქივო წიგნების აღწერა,

ვ) სრულ წესრიგში უნდა იქნეს მოყვანილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები,

ზ) დაწყობილი და აღწერილი უნდა იქნეს სკოლის საკანცელარიო საქმეები და ანგარიშწარმოება,

თ) სკოლის ბრძანების წიგნი და სხვ.

განათლების განყოფილებებს ევალებათ ყველა ზემოაღნიშნულ სამუშაოების ჩატარებისათვის შეადგინონ 1938-39 სასწავლო წლისათვის სამზადისის მთლიანი კალენდარული გეგმა და წარმოუდგინონ განსახკომს დასამტკიცებლად არა უგვიანეს ა/წ. 30 მარტისა.

**საქ. განათლების სახალხო**
**კომისარი ერმ. ბურჯულაძე.**

F 171
1938

# ბრძანება № 572

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1938 წ. 4 თებერვალს

### დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოების გაერთიანების შესახებ.

აღვნიშნავ, რომ დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოთა ცალცალკე არსებობა, რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ დაწყებითი არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების ხელმძღვანელობის საქმეში იწვევს მთელ რიგ უარყოფით შედეგებს; ამ სამმართველოთა ცალკე არსებობის პირობებში, განსაკუთრებით ბრკოლდება ქვემდებარე ქსელზე ერთიანი — მეთოდური ხელმძღვანელობის საქმე; ცალკე სამმართველოთა შტატების სიმცირე არ იძლევა საშუალებას გაეწიოს სათანადო ხელმძღვანელობა, გამოიყოს ცალკე საშტატო ერთეულები ისეთი უმნიშვნელოვანესი სასწავლო-საალმზრდელო ფუნქციებისათვის, როგორიც არის სკოლისა და კლასსგარეშე მუშაობა, საბავშვო ლიტერატურის დამუშავებისა და გამომცემლობის ხელმძღვანელობა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სასწავ. დიდაქტიკური ხელსაწყო მასალების შედგენა გავრცელება და სხვ. ამასთან ერთად დაწყებითი და საშ. სკოლის სამმართველოთა მუშაობაში ადგილი აქვს პარალელიზმს, ოპერატიული ხელმძღვანელობის შეფერხებას და სხვ.

საქ. სსრ ტერიტორიაზე არსებულ დაწყებითი არასრულ საშუალო, საშუალო სკოლებზე და პედსასწავლებლებზე ერთიანი ხელმძღვანელის დაწესების და ოპერატიული ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით **ვბრძანებ:**

1. საქ. სსრ განსახკომის დაწყებითი და საშ. სკოლის სამმართველოები გაერთიანდნენ ერთ **დაწყებით და საშუალო სკოლის მთავარსამმართველოდ.**

2. დაწყებით და საშუალო სკოლის მთავარსამმართველოს სტრუქტურა დროებით შემდეგი სახით განისაზღვროს:

ა) **საინსპექტორო - მეთოდური განყოფილება;**

ბ) **ნაცუმცირესობათა სკოლების განყოფილება;**

გ) **კადრების სექტორი;**

დ) **სახელმძღვანელოებისა და პროგრამების სექტორი;**

ე) **პედსასწავლებლების სექტორი** და

ვ) **სკოლის გარეშე მუშაობის სექტორი.**

3. დაწყებითი და საშ. სკოლების მთავარსამმართველოს უფროსად დაინიშნოს ამხ. **ვ. იმედაშვილი.**

4. დაევალოს ამხ. იმედაშვილს ა/წ. 7 თებერვლამდე წარმოადგინოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მთავარსამმართველოს შტატი.

**განათლების სახალხო კომისარი**
**ერ. ბურჯულაძე.**

---

პ/მგ. რედაქტორი დ. ყიფშიძე. ტექრედაქტორი ს. ცაიშვილი.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ჟორესის 5.
მთავლიტი № 11 ტირაჟი 5000.